(1996)

ამონარიდი ეუთოს ლისაბონის სამიტის <u>დეკლარაციიდან</u>

20. ჩვენ კვლავ ვადასტურებთ ჩვენს ყველაზე საკადრის მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ ვგმობთ "ეთნიკურ წმენდას", რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის უპირატესად ქართული მოსახლეობის მასიური განადგურებისა და იძულებით გაძევების ფაქტებს. სეპარატისტების დესტრუქციული მოქმედებები, მათ შორის ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისათვის დაბრკოლებების შექმნა, ასევე გადაწყვეტილება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი არჩევნების ჩატარების შესახებ, ძირს უთხრის ამ კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგებისათვის გაწეულ პოზიტიურ ძალისხმევას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საერთაშორისო საზოგადოება, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ეუთო, რუსეთის როგორც ხელშემწყობი მხარის მონაწილეობით, ვალდებულია და შემდგომაც უნდა შეიტანოს აქტიური წვლილი მშვიდობიანი მოწესრიგების ძიების საქმეში.

1996 წლის 2-3 დეკემბერი

(www.un.org)